5810/3-53/22 2 28062022

5810/3-53/22
28-06-2022

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 27-28 ივნისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბათუმის პორტში შემოსული იყო გემი, რომელსაც მოჰქონდა სანქცირებული „Роснефть"-ის ნავთობპროდუქცია.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. რომელ ქვეყანაშია აღნიშნული გემი რეგისტრირებული და რომელია წარმოშობის ქვეყანა (საკუთრება).
2. ინფორმირებული იყო თუ არა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ზემოთ ხსენებული გემის მიერ საქართველოს საზღვაო საზღვრის კვეთის შესახებ.

ა) ასეთის შემთხვევაში, რატომ არ იქნა აღკვეთილი გემის საქართველოს საზღვრებში შემოსვლა.

3. რატომ არ იქნა დაკავებული გემის ეკიპაჟი საზღვრის უკანონო კვეთისათვის.
4. გამოკვეთა თუ არა უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს სასაზღვრო გამტარი პუნქტის თანამშრომლებს შორის ან/და სხვა მაღალი თანამდებობის პირების ბრალეულობა ამ საკითხის მოკვლევის დროს.
5. რა ღონისძიებები ტარდება იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელმაც შემოიტანა სანქცირებული ტვირთი საქართველოს საზღვრებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია

5809/3-53/22 2 28062022

5809/3-53/22
28-06-2022

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 27-28 ივნისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბათუმის პორტში შემოსული იყო გემი, რომელსაც მოჰქონდა სანქცირებული „Роснефть"-ის ნავთობპროდუქცია.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. რა დოკუმენტაციის საფუძველზე შემოვიდა ზემოთ ხსენებული გემი საქართველოს პორტში?
2. რა მიზეზით არ იქნა აღკვეთილი გემის საქართველოს საზღვრებში შემოსვლა.
3. რა დოკუმენტის საფუძველზე არ მიეცა უფლება გემს პროდუქციის ჩამოტვირთვის საშუალება (გთხოვთ, მომაწოდოთ აღნიშნული დოკუმენტის ასლი).
4. რა ოპერაციების საფუძველზე მოხდა სანქცირებული პროდუქციის იდენტიფიცირება (გთხოვთ მომაწოდოთ იმ დოკუმენტის ასლი, რომელიც შედგა სანქცირებული პროდუქციის იდენტიფიცირების თაობაზე).
5. რა დოკუმენტის საფუძველზე იქნა გემი გაბრუნებული (გთხოვთ, მომაწოდოთ ამ დოკუმენტის ასლი).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია